პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ევროკავშირიდან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ
ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ ,,შავი ზღვის რეგიონში რეგიონალური მონაწილეობით ჩართულობა ახალგაზრდებზე ორიენტირებული ტრანსფორმაციული და ჰოლისტიკური მიდგომის მეშვეობით" **ევროკავშირის** პროექტის (,,YOUTH-SEA") ფარგლებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილია გრანტი 65 520 ევროს ოდენობით, ამავე პროგრამის ფარგლებში ქუთაისის მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა შეადგენს 7280 ევროს (სულ 72800 ევრო).

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტებისა და ,,მუნიციპალიტეტებისათვის გრანტის მიღებაზე ნებართვის მიცემის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N1990 განკარგულების საფუძველზე:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს მიიღოს ევროკავშირიდან 65 520 (სამოცდახუთი ათას ხუთას ოცი) ევროს ოდენობის გრანტი და გააფორმოს საგრანტო ხელშეკრულება.

მუხლის 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ. კუპრაძის ქუჩა N11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი — დავით ერემეიშვილი

განმარტებითი ბარათი

,,ევროკავშირიდან გრანტის მიღების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელ, დავით ერემეიშვილისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია განკარგულების პროექტის შესახებ:

ა) განკარგულების პროექტის მიღების მიზეზი:

,,შავი ზღვის რეგიონში რეგიონალური მონაწილეობით ჩართულობა ახალგაზრდებზე ორიენტირებული ტრანსფორმაციული და ჰოლისტიკური მიდგომის მეშვეობით" **ევროკავშირის** პროექტის (YOUTH-SEA) ფარგლებში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილია გრანტი 65 520 ევროს ფარგლებში, ხოლო ამავე პროგრამის ფარგლებში ქუთაისის მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა შეადგენს 7280 ევროს (სულ 72800 ევრო). საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების შესაბამისად გრანტის მიღების თაობაზე გადაწყვეტილებებს მუნიციპალიტეტის სახელითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინასწარი თანხმობით, დადგენილი წესითა და პირობებით იღებს და შესაბამის ხელშეკრულებას აფორმებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ხოლო ,,მუნიციპალიტეტებისათვის გრანტის მიღებაზე ნებართვის მიცემის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N1990 განკარგულების პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით მუნიციპალიტეტებს მიეცათ ნებართვა გრანტის მიღებაზე საქართველოს მთავრობისათვის დამატებითი შუამდგომლობით მომართვის გარეშე, თუ გრანტის გამცემია ევროპის კავშირი, ევროპის საბჭო ან/და ევროპის კომისია.

ბ) განკარგულების პროექტის მიღების მიზანი:

პროექტის, რომლის ხანგრძლივობაც არის 18 თვე, მიზანია შავი ზღვის რეგიონში ახალგაზრდების რეგიონულ და ადგილობრივ პოლიტიკაში დაბალი ჩართულობის პრობლემის მოგვარება. ამ პრობლემის გადასაჭრელად, პროექტი ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის ძლიერი პარტნიორობის განვითარებას. დიალოგისა და მოქმედებისათვის ინკლუზიური სივრცეების შექმნით, პროექტი მიზნად ისახავს ახალგაზრდების მმართველობაში მონაწილეობის ტრანსფორმაციული პოტენციალის დემონსტრირებას. ისეთი ინიციატივების მეშვეობით, როგორიცაა ახალგაზრდული საბჭოები, მონაწილეობითი ბიუჯეტირების პლატფორმა და ფესტივალები, ასევე პროექტი მიზნათ ისახავს იმ ბარიერების მოხსნას, რომლებიც ხელს უშლის ახალგაზრდებს აქტიურად მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში.

2. განკარგულების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

პროექტის მიღება დაკავშირებულია ფინანსურ ხარჯებთან, კერძოდ, პროექტის განხორციელებაში ქუთაისის მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა შეადგენს 7280 ევროს.

3. განკარგულების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:

დადგენილების პროექტის შემუშავებაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული ადმინისტრაციული სამსახური.

4. განკარგულების პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი დავით ერემეიშვილი

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტის წარმომდგენი პირი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტს წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი ირაკლი გიორგაძე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი დავით ერემეიშვილი